“დინამო” (თბილისი) – “კრასნაია ზარია” (ლენინგრადი) - 2:3 (2:2)

თბილისი. სტადიონი “დინამო”. 15 000 მაყურებელი.

24 ოქტომბერი.

მსაჯი : ვ. რიაბოკონი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს: 0-1 იარცევი (3), 0-2 იარცევი (70), 1-2, პაიჭაძე (20), 2-2, მ. ბერძენიშვილი, (40, პენალტი), 2-3 იარცევი (70).

“დინამო”: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, მინაევი, ჯორბენაძე, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ი. ბერძენიშვილი, სომოვი.

“კრასნაია ზარია”: ლივენცევი, ტოპტალოვი, მედვედევი, ბოდროვი, ლემეშევი, ორეშკინი, პ. გრიგორიევი, ივანოვი, სმირნოვი, იარცევი, ლატკოვი.

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

დაამატა: ერლან მანაშევმა.

პირველი დამარცხება

24 ოქტომბერს ნამდვილად შემოდგომის დღე გათენდა. ჯერ კიდევ წინა ღამეს, თუმცა ნელმა, მაგრამ საკმაოდ ხშირმა წვიმამ გადასწყვიტა: ხვალ მატჩი არ შესდგება” (!).

და აი 24 ოქტომბერს მთელ დღეს წვიმს, სახლიდან გარეთ გამოსვლა ეზარება კაცს. მოახლოვდა მატჩის დაწყების მომენტიც, ტფილისის მაყურებლისათვის უჩვეულოა ასეთ ამინდში თამაშისათვის ცქერა, მაგრამ მაინც სტადიონისაკენ მიიჩქარის.

სრული ოთხი საათია. მსაჯი იძლევა ნიშანს მოედანზე, სადაც ტბასავით დგას წყალი, გუნდების გამოსასვლელად. აი გუნდებიც ჩვენ წინ დგანან ამობუზულნი, თვალს მაინც არ უჯერი: “ნუთუ ითამაშებენ: “ნუთუ შესდგება მატჩი”!?.

თამაშის დასაწყისიდანვე ინიციატივას სტუმრები იღებენ. მათთვის პირველი როდია ასეთ ამინდში თამაში. ისინი მოხერხებულად იყენებენ ტფილისელთა დაბნევას და უკვე მეცხრე წუთზე ორი ბურთი აქვთ გატანილი ტფილისის “დინამოს” კარებში. ტემპი ძლიერდება. ტფილისელები თითქოს შეეჩვიენ წვიმას. ხშირად უახლოვდებიან “მოწინააღმდეგის კარებს”, მაგრამ ვერ ახერხებენ ანგარიშის გაქვითებას. განსაკუთრებით ვერ გამოიყენეს ვერც ერთი ხელსაყრელი მომენტი “დინამოს” გარემარბებმა სომოვმა და პანინმა.

ბურთი “დინამოს” თავდამსხმელთა სამეულის ხელშია. მშვენიერ კომბინაციებს ქმნიან სტუმრების საჯარიმო მოედანზე და პაიჭაძე, ნელი, მაგრამ მოხერხებული დარტყმით პირველ ბურთს ახვევს ლენინგრადის “კრასნაია ზარიას”

ბადეში. არ გასულა რამოდენიმე წუთი, რომ ლენინგრადის ბადემ მეორე ბურთი მიიღო. ეს ბურთი საჯარიმო დარტყმით იქნა გატანილი მ. ბერძენიშვლის მიერ.

თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა ფრედ _ 2:2.

მეორე განყოფილების, 38-ე წუთს არავითარი შედეგი არ მოუცია. და მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ლენინგრადელები სცვლიან შედეგს, საჯარიმო ხაზიდან მესამე ბურთს იღებს "დინამოს"-ს კარები.

ამრიგად, ამ დღეს ტფილისის "დინამომ" პირველი დამარცხება განიცადა.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 26 ოქტომბერი, 1936 წ.